საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა)

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კომუნისტი

ოთხშაბათი, 20 ოქტომბერი 1920 წ.

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 3 მეორე სართულში. თვიური ხელის მომწერთათვის გაზეთი ღირს 200 მან.

ფასი 10 მან.

№ 72 ყოველდღიური ორგანო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტებისა. № 72

## ჯერი ვრანგელზე მიდგა.

რევოლიუციის მომავალ ისტორიკოსს დიდათ გაუჭირდება სისწორით აღნუსხოს ყველა ის კონტრ-რევოლიუციონური ძალები, რომლებიც საბჭოთა რუსეთმა და მისმა გმირმა პროლეტარიატმა გულ გაუტეხელი მხნეობით მოიგერია. ამ შავბნელი ძალების ამოძრავება მთელი მსოფლიო სივრცეზე სწარმოებს, ისე როგორც მთელ მსოფლიოს სწვდება და არყევს სამი წლის წინათ დაწყებული პროლეტარული რევოლიუცია. იმსხვრეოდა ერთი გენერალი და მის ადგილას ჩნდებოდა მეორე, მესამე და მეოთხე, იხშობოდა ერთი აჯანყება და მის ალაგას ეწყობოდა ახალი მუხანათობა და ასე დაუსრულებლათ მოქონდათ იერიში განთავისუფლებულ შრომის შვილებზე.

რუსეთის პროლეტარიატის განუსაზღვრელი გმირობა! განა შეედრება რამე თავისი სიდიადით ამ სანახაობას, განა ისტორიას ახსოვს მსგავსი რამ კეთილშობილება, თავგანწირულება, უანგარობა და განა ობიექტივურათაც რომელიმე ეპოქას ქონია გადასაწყვეტათ დღევანდელის მსგავსი მაღალი მიზანი? რუსეთის პროლეტარიატი ამ შეუდარებელ ბრძოლაში მარტო თავის თავს არ ინთავისუფლებდა, ის ობიექტივურათ (ან სუბიექტიურათაც) ემსახურებოდა მთელი ქვეყნიერების განთავისუფლებას.

მიუხედავათ ამისა, ყოველი მისი მარცხი სიხარულს და კმაყოფილებას იწვევდა ჩვენი კურთხეული ქვეყნის გაბატონებულ წრეებში. ვრანგელის ფრონტი პირდაპირ მისწრება იყო მათთვის, ვისაც საბჭოთა რუსეთის გამარჯვება ვერ მოენელებინა. ასაბუთებდენ კიდეც პოლიტიკურ ეკონომიურ მოსაზრებით ვრანგელის მოსალოდნელ გამარჯვებას! თურმე ვრანგელი უფრო ჭკვიანათ იქცეოდა, ვიდრე მისი წინამორბედი კონტრ-რევოლიუციონერები: ის თურმე გლეხებს მიწას ურიგებდა და მით ინადირებდა მათ გულს; ეს და სხვა ამგვარი საბუთები იმედით ავსებდა ჩვენს მტრებს და ვინ იცის, იქნება ამ იმედების განსახორციელებლათ მარტო ლიტონი სიტყვებიც არ იხარჯებოდა, შესაძლოა ამ მიზნით უფრო რეალურ ღირებულების გაცემა საც ქონდა ადგილი.

დაავიწყდათ ვრანგელის ამ ფარულ მოციქულებს, რომ რუსეთის რევოლიუციას ღრმათ აქვს გამჯდარი ფესვები არა მარტო რუსეთში, არამედ მთელ მსოფლიოში და მისი მარცხი, რაც გინდ საგრძნობი იყოს იგი ამა თუ იმ შემთხვევაში, უეჭველათ დროებითი და წარმავალი ხასიათისაა. რამდენჯერ ეკიდა საბჭოთა რუსეთი ბეწვზე, და მისი მტრები ხელების ფშვნეტით ულოცავდენ ერთმანეთს საბოლოო გამარჯვებას, მაგრამ უფსკრულის პირას მიმდგარი რუსეთი კვლავ წამომდგარა მთელი ძალღონით და ზღაპრული გმირის მსგავსათ თავისი მოწინააღმდეგე ჩაუგდია ნამდვილ უფსკრულში. ასე განადგურდენ ერთი-მეორის ზედ მიყოლით უდიდესი და უძლიერესი გენერლები, რომლებიც სამი მხრიდან შემოერტყნენ გარს საბჭოთა რუსეთს: კოლჩაკი, დენიკინი და იუდენიჩი, ერთი მეორეს გაჰყვენ ელვის სისწრაფით და გადაიჩეხენ არარაობის ჯურღმულში, მიუხედავათ იმისა, რომ გარდა საკუთარი აფიცრობისა მათ მხარს უჭერდა მთელი ევროპის და ამერიკის კონტრ-რევოლიუცია.

ვრანგელმა სცადა ბედი იმ დროს, როდესაც რუსეთმა ის-იყო ბრწყინვალეთ გაიმარჯვა ყველა თავის მტრებზე. ეს ცდა ნამდვილ ავანტიურათ იქნა ცნობილი თვით საბჭოთა რუსეთის მტრების ბანაკში. მაგრამ ბედმა გაუღიმა ვრანგელს. პოლონეთის კონტრ-რევოლიუციამ მიიპყრო საბჭოთა რუსეთის მთელი ყურადღება და ვრანგელის საწინააღმდეგო ფრონტი ძალა-უნებურათ გაშიშვლდა. ვრანგელმა იწყო დაუცავ ადგილებში წინ წაწევა და თან მიიტანა თავისი კონტრ-რევოლიუციის რისხვა და მეხი. ასისინდენ ჰაობის ქვემძრომები, შეიქნა მილოც-მოლოცვა და თავ-გასულმა ვრანგელმა უკვე მთელი რუსეთის პატრონათ წარმოიდგინა თავი.

მაგრამ არ უწერია კონტრ-რევოლიუციის გამარჯვება. პოლონეთის მხრიდან საზავო ხელშეკრულებით უზრუნველყოფილი საბჭოთა რუსეთი ელვის სისწრაფით თავს ესხმის გათავხედებულ გენერალს და ზედიზედ მიღწეულ გამარჯვებით არარათ ხდის მის უკანასკნელ თარეშს. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ვრანგელმა უნდა გაიზიაროს მისი წინამორბედის—დენიკინის ბედი.

ჯერი ვრანგელზე მიდგა.

## ეკონომიური თათბირი

(დასასრული, იხ. № 71).

ნ. ჟორდანია გულახდილათ აღიარებს: „ხშირათ ჩვენი მოქმედება იღებს ხოლმე წვრილ ბურჟუაზიულ სახეს, ფორმას“. ჩვენ აქ იმ შესწორებას შევიტანდით, რომ „ხშირათ“ კი არა, მუდამ ქართველი მენშევიკების მოქმედებაც და აზროვნებაც წვრილბურჟუაზიულია. თუ წინააღმდეგობა არის (და ეს მართლა ხშირათ არის) მათ სიტყვასა და საქმეს შორის, ესეც მათი წვრილბურჟუაზიული ბუნებით აიხსნება: წვრილი ბურჟუა იმის წვრილი ბურჟუაა, რომ დღეს ერთი სთქვას, ხვალ მეორე, დღეს ერთი აკეთოს, ხვალ გაკეთებული დაშალოს, მას არ მოეპოვება მთლიანი სამოქმედო გეგმა და მუდამ ტაროსის მაყურებელი კუდში მისდევს ცხოვრების ცვალებადობას. ის მსხვილ ბურჟუაზიაზე უფრო ხელგაშლილათ ცხოვრობს, თუ რამდენიმე თვის სარჩო ერთათ მოიგდო ხელთ, და პროლეტარზე მეტ მომჭირნეობას იჩენს, გაცილებით უარეს ცხოვრებას ეგუება გაჭირვების დროს, ოღონდ კი პროლეტართა რაზმში არ მოექცეს.

ამ საერთო წვრილბურჟუაზიულ სენს ვერ გაექცეოდენ ვერც განათლებული, თუნდაც მარქსისტულათ განსწავლილი წვრილი ბურჟუები. აი როგორ იყო საქმე საქართველოში თვით ჟორდანიას მხრით:

„ჩვენ იმით დავიწყეთ სახელმწიფოს შენება, რომ ჩვენს კასაში არაფერი არ იყო. გვქონდა მხოლოთ რამოდენიმე მილიონი მანეთი. მაგრამ ჩვენ არა გვქონდა ვალი. გვქონდა ის საქონელი, რომელიც ჩვენ დაგვრჩა რუსეთიდან გამოყოფის შემდეგ. მაშასადამე პლიუსი იყო ჩვენთვის ის, რომ ვალი არა გვქონდა, მაგრამ დიდი მინუსი იყო ის, რომ ახალი სახელმწიფო ვიყავით, არა გვქონდა სახელმწიფო აპარატი, საკუთარი ტრადიციული სისტემა, არავითარი ფონდი“.

დღეს ლაპარაკობს ნ. ჟორდანია მაშინდელ „დიდ მინუსებზე“. ხოლო მაშინ მისი პარტია ქვეყანას აყრუებდა ტრაბახით ჩვენი სამშობლოს საარაკო კეთილდღეობის შესახებ. მინუსები მაშინ გაცილებით მეტი იყო, ვიდრე დღეს ჟორდანია ხედავს, მაგრამ ამაზე თავს არავინ იტკივებდა. ან რა საჭირო იყო. სანამ მოიპოვებოდა რუსეთის დარჩენილი ქონება, რომელსაც, როგორც გლეხები იტყვიან, ულმერთოთ დააძლა მისი ახალი ხაზეინი, არ შეწყვეტილა თავისქების და განდიდების სიტყვათა კორიანტელი; როგორც კი ეს ქონება გამოილია, შეწყდა სადღესასწაულო ზეიმი და წინ წამოიჭრა გლოვა და „ვინ ხარ მამაცი“-ს ძახილი.

ნ. ჟორდანია გაურკვევლათ ლაპარაკობს რუსეთიდან დარჩენილ ქონებაზე, არ ახსენებს რაოდენ ღირებულებას შეიცავდა იგი. ასევე იქცევა მისი თანამომხსენებელი ნ. ხომერიკიც, რომელიც ამბობს, რომ „რუსეთის მთავრობას აქ ჩვენთვის, გარდა ზოგიერთი ქონებისა, არაფერი დაუტოვებია“. ნამდვილათ კი ამ ქონების საღირალი მილიარდებით განიზომებოდა. ყოველ შემთხვევაში, ასე ლაპარაკობენ, თუმცა ზეპირათ, ის პირები, რომლებსაც რაიმე საქმე ქონია ამ სიმდიდრესთან და ჩვენც არა გვაქვს საშუალება მათ არ ვერწმუნოთ, სანამ არ გამოქვეყნებულა ოფიციალური ცნობები საინტერესო საკითხის შესახებ.

ამნაირათ, უვალობა და დიდი სიმდიდრე—აი რა პირობებში აღმოცენდა საქართველოს სახელმწიფო და განა შეიძლება ამაზედ უკეთესი პირობები ახალი ორგანიზაციისათვის? ტრადიცია არ გვქონდაო, ბრძანებს ნ. ჟორდანია. რა თქმა უნდა, ტრადიცია არ ექნებოდა ჯერ არ არსებულ ორგანიზმს და სწორეთ ამიტომ ეს არც მინუსათ ჩაითვლება და არც პლიუსათ. ტრადიციის მომიზეზება, მეტი რომ არა ვთქვათ, ახირებული საბუთია, როცა კითხვა ეხება ძველი ქონების მოვლა-პატრონობას.

შესძლო თუ არა საქართველოს მთავრობამ ამ ქონების სათანადოთ გამოყენება, თუ პირიქით, იგი უკვალოთ განიავდა და მოისპო? აი რა კითხვა იბადება სრულიათ ბუნებრივათ, როდესაც კრახის მიზეზებს ვიკვლევთ. ვერა, ვერ შესძლო, ვიტყვით ჩვენ და ამით შეიქმნა მეტათ ცუდი ტრადიცია. თუ მზამზარეულს ვერ მოუარა მისმა პატრონმა, საეჭვოა, რომ მან თვით შექმნას რაიმე ახალი, ისიც მეტათ არა-ხელსაყრელ პირობებში.

მაინც როგორ ფიქრობს ნ. ჟორდანია საქმის გამოსწორებას? ჩვენ უკვე აღვნიშნეთ მისი წვრილ-ბურჟუაზიული შეხედულება არსებულ წარმოებაზე. ის ორივე ფეხით უბრალო საქონლის მეურნეობის საფუძველზე დგას და აქედან ცდილობს მომავალის გათვალისწინებას. ხოლო რადგანაც უბედურების მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ საქონელი ნაკლებათ მოგვეპოვება, ფული კი ჭარბათ, რის გამო დარღვეულია მათი წონასწორობა, ჟორდანიაც დაასკვნის, რომ წონასწორობის აღსადგენათ საჭიროა საქონლის გამრავლება. მეორე მხრით, რადგან საქონლის ღირებულებას მხოლოთ შრომა ქმნის, ჟორდანიასაც სიმძიმის ცენტრი შრომის სფეროში გადააქვს და შრომის ნაყოფიერების გაზრდიდან მოელის ის ძველებური წარმოების აღდგენას.

ერთი შეხედვით, ყველაფერი თავის რიგზეა ამ წვრილ ბურჟუაზიულ ილიუზიაში. საქონელი გვაკლია, საქონლის ღირებულებას შრომა ქმნის, მაშასადამე შრომის ნაყოფიერებამ უნდა იმატოს და საქმეც გამოსწორდება. მაგრამ ჩაუკვირდეთ ცოტა და ვნახავთ მის უსუსურობას. ჟორდანია ამბობს, შრომა ქმნის საქონლის ღირებულებასო. სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ რას ვაქნევთ მას აღძრულ საკითხის გამორკვევაში? ჩვენ გვაინტერესებს არა ღირებულების საკითხი, არა ეს განყენებული კატეგორია პოლიტიკური ეკონომიისა, არამედ თვით საქონელი, მისი სისხლი და ხორცი, მისი ხელშესახები რაობა. ამას კი სრულიათაც არა ქმნის მარტო შრომა. ეს ცოტაა. საჭიროა მთელი რიგი პირობებისა, რომ შრომამ შექმნას ღირებულება, რომ შესაძლო გახდეს მშრომელის ექსპლოატაცია. და სწორეთ ეს პირობები აღარ არსებობს, ის სისტემა დაიშალა, დაირღვა და დაიფუშა, რომელიც შესაძლებელს ხდიდა როგორც ღირებულების შექმნას, ისე ზედ-მეტი ღირებულების მითვისებას. ბურჟუაზიული ლიბერალები სტყუოდენო—ამბობს ნ. ჟორდანია,—როდესაც ამტკიცებდენ, რომ ღირებულებას ქმნის კაპიტალიო. სტყუოდენ და მაინც მშვენივრათ ახერხებდენ საქონლის წარმოებას, რადგან მათ ემსახურებოდა განმტკიცებული სისტემა წარმოებისა და ვერ ახერხებენ დღეს, რადგან დარღვეულია ეს სისტემა და ვერ მოახერხებენ, კიდეც რომ იწამონ მარქსის თეორია შრომის ღირებულებისა. ნ. ჟორდანია კი ადვილათ სწყვეტს საკითხს: საჭიროა შრომის ნაყოფიერებამ მოიმატოსო. კეთილი, მაგრამ როგორ? თითონ ეს საკითხია გადასაწყვეტი.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე, რომ შრომის ნაყოფიერების გაზრდა არსებულ წყობილების ნიადაგზე შეუძლებელია. „რანაირათ შეიძლება მოითხოვოთ სამუშაო ძალიდან ინტენსიური შემოქმედება, როდესაც მას ყოველდღე აკლდება თავისი სასიცოცხლო წყარო! მართალია, ამ საქონელს (სამუშაო ძალას) აქვს კაპიტალისტისათვის ერთი მეტათ ხელსაყრელი თვისება—წარმოშვას იმაზე მეტი ღირებულება, რასაც იგი თითონ წარმოადგენს. მაგრამ ეს სასწაული მას შეუძლია მოახდინოს იმ პირობით, თუ ის სავსებით აღდგენილია და რა კი ეს პირობა არ არი დაცული, ბურჟუაზიულ ნიადაგზე წარმოების აღდგენა შეუძლებელია“.

ნ. ჟორდანიას კი ეს შესაძლებლათ მიაჩნია და აი რა გზით: „მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ საჭიროა თვით მუშათა ორგანიზაციებმა მიაქციონ ყურადღება წარმოებას, შრომის ნაყოფიერებას თვალყური ადევნონ, რათა არ იქნეს დაცემული ნაყოფიერება; ამ ორგანიზაციებმა თითონ უნდა მიიღონ მონაწილეობა მუშაობის კანტროლში“.

ეს მუშათა კანტროლია, მხოლოთ იმავე მუშებზე! მუშებმა კანტროლი უნდა გაუწიონ ერთმანეთს, რომ რაც შეიძლება მეტი მოგება დარჩეს მწარმოებელს! მუშებმა რომ ასეთი მსხვერპლი გაიღონ, ცოტა იმაზე მეტია საჭირო, ვიდრე დღეს მათ მოეპოვებათ, ანუ კომუნისტური ინტერნაციონალის მანიფესტის სიტყვებით რომ გამოვხატოთ „შრომის ნაყოფიერების აღდგენისა და კიდევ უფრო ზევით აწევისათვის საჭიროა, რომ მუშათა კლასი დარწმუნებული იყოს იმაში, რომ ყოველი დარტყმა მაღლა ასწევს შის კეთილმდგომარეობას, განათლებას, და ამავე დროს არ მოუმზადებს მას საფრთხეს ხელახალი ურთიერთ გაჟლეტისას. ასეთ მტკიცე რწმენას მას მხოლოთ სოციალური რევოლიუცია მიანიჭებს“.

გავათავებთ იმავე მანიფესტის ღრმამნიშვნელოვანი სიტყვებით, რომელიც დაურიდებელი სისწორით აშუქებს აღძრულ საკითხს. „კაპიტალისტურ საფუძვლებზე გადარჩენა შეუძლებელია... სახელმწიფო ვალები უკუგდებულ და დავიწყებულ უნდა იქნენ. შრომა და მისი ნაყოფი უნდა განთავისუფლებულ იქნას იმ ხარკისაგან, რომელიც მსოფლიო პლუტოკრატიის სასარგებლოთ მიდის. უნდა დამხობილ იქნას ეს პლუტოკრატია. უნდა მოიშალოს სახელმწიფოების მაღალი კედლები, რომლებიც აქუცმაცებენ მსოფლიო მეურნეობას. ანტანტის იმპერიალისტების უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მაგიერ უნდა დაწესდეს უმაღლესი ეკონომიური საბჭო მსოფლიო პროლეტარიატისა, რათა ცენტრალურათ მოეწყოს ექსპლოატაცია კაცობრიობის ყველა სამეურნეო რესურსების. უნდა მოკლულ იქნას იმპერიალიზმი, რათა კაცობრიობას შეეძლოს სიცოცხლის გაგრძელება.“

ეს სავსებით სოციალიზმის პროგრამაა, რომელსაც ვერ გაიზიარებს ნ. ჟორდანია და მისი პარტია, რადგან ისინი მიზნათ ისახავენ ომის წინ არსებულ მეურნეობის, ე. ი. კაპიტალიზმის აღდგენას. არა სოციალიზმი, არამედ ისევ და ისევ კაპიტალიზმი,—ასეთია ხსენებულ ეკონომიურ თათბირების დედა-აზრი და მათ ამ უარყოფითი ხასიათში კარგათ უნდა გაერკვიოს საქართველოს მშრომელი ხალხი, რომ შესაფერი და მიუდგომელი მსჯავრი შეიმუშაოს.

გადამთიელი.

## კაპიტალისტური ქვეყნიერება და კომუნისტური ინტერნაციონალი

(მანიფესტი კომუნისტური ინტერნაციონალის მე-2 კონგრესის)

(გაგრძელება იხ. № 71)

### IV.

### საბჭოთა რუსეთი

შოვინიზმის, სიხარბის და ნგრევა-განადგურების აღვირწაგლეჯილ სტიქიების ზღვაში მხოლოდ-ღა მარტო კომუნიზმის პრინციპმა გამოიჩინა უმაღლესი ცხოველმყოფელობა და შემოქმედებითი ძალა. მიუხედავათ ამისა, რომ ისტორიული განვითარების მსვლელობის ზეგავლენით საბჭოთა ძალა-უფლება დამკვიდრდა ევროპის ყველაზე უფრო ჩამორჩენილ და განადგურებულ ქვეყანაში, რომელიც გარშემორტყმულია უძლიერეს მტერთა კრებულით, მან არა თუ გაუძლო გაუგონარ დაბრკოლებებთან ბრძოლას, არამედ საქმით გამოაშკარავა ის უდიდესი შესაძლებლობანი, რისი მატარებელია კომუნიზმი. განვითარება და განმტკიცება საბჭოთა ძალა-უფლებისა რუსეთში უუდიდესად მნიშვნელოვანი ფაქტია იმ ხანაში, რომელმაც განვლო კომუნისტური ინტერნაციონალის დაარსებიდან.

ჯარის შექმნას კლასიური საზოგადოება ჩვეულებრივად უყურებს როგორც გამოცდას ეკონომიურ და სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში. ჯარის ძლიერებისა თუ სისუსტის მიხედვით ის სჯის მეურნეობის და სახელმწიფოს ძლიერება-სისუსტეზედაც.

საბჭოთა მთავრობამ ირგლივ ცეცხლში გახვეულმა შექმნა უძლიერესი შეიარაღებული ძალა. წითელმა ჯარმა გამოიჩინა თავისი უდაო მძლეობა როგორც ბრძოლაში ძველ ბურჟუაზიულ—მონარქიულ რუსეთის წინააღმდეგ, რომლის აღდგენას ცდილობს იმპერიალიზმი კოლჩაკის, დენიკინის, იუდენიჩის, ვრანგელის და სხ. თეთრი ჯარების შემწეობით, ისე ბრძოლაში ნაციონალურ ჯარებთან იმ „დემოკრატიებისა“, რომელთაც მსოფლიო იმპერიალიზმი ქმნის და ამრავლებს თავის სასარგებლოთ (ფინლიანდია, ესტონია, ლატვია, პოლონეთი).

მეურნეობის სფეროში საბჭოთა რესპუბლიკამ უდიდესი სასწაული მოახდინა უკვე მით, რომ გასძლო პირველ სამს უძნელეს წელიწადს. მან გასძლო და გა-

ნვითარება იწყო იმიტომ, რომ გამოგლიჯა ხელიდან ბურჟუაზიას ექსპლოატაციის იარაღები და გადააქცია გეგმაზე აგებულ მეურნეობის საშვალებად.

ზარბაზნების გრიალით მოცულ რუსეთს ხელიდან არ გაუშვია არც ერთი შესაძლებლობა მეურნებითი და კულტურული აღმშენებლობის. დენიკინის განადგურებისა და პოლონეთის ავაზაკურ გამოსვლის შუა ხანში საბჭოთა მთავრობა შეუდგა ფართო ორგანიზაციას შრომის ბეგარისას, საწარმოო ძალთა და საშვალებათა წესიერ აღრიცხვა გამოკვლევისა და გამოყენებისას, შრომის მიზნებისათვის ჯარის ნაწილების გამოყენებისას, და უპირველეს ყოვლისა, ტრანსპორტის აღდგენისას. რუსეთის ქალაქების გადარჩენა შიმშილით სიკვდილისაგან და წითელი ჯარის გამოკვება შესაძლებელი შეიქნა მხოლოდ იმიტომ, რომ დაწესდა სოციალისტური სახელმწიფოს მონოპოლია გამოკვების უმთავრეს საგნებზე, და იმავე დროს დაუზოგველი ბრძოლა გამოეცხადა სპეკულიაციას. მხოლოდ სახელმწიფოებრივ გაერთიანებამ გაცალკევებულ ფაბრიკა ზაოდებისა და კერძო მფლობელთა რკინის გზებისა და გემებისა უზრუნველ ჰყო წარმოების და გაზიდვის შესაძლებლობა.

სახელმწიფოს ხელში მრეწველობის და ტრანსპორტის თავმოყრა მომასწავებელია თვით ტეხნიკის განსაზოგადების მისი ნორმალიზაციის სახით. დაწესება ორთქლმავალების, ვაგონების, გემების, სულ მცირე რიცხოვანი ტიპების, რომლების წარმოება და რემონტი ნებადალთულია, და დროკამოშვებით დაწესება მანქანის შემადგენელ ნაწილათ ამა თუ იმ ფორმის, რათა შესაძლებელი გახდეს მასსიური დამზადება ასეთი ტიპიური ნაწილების—ყველა ეს შესაძლებელია მხოლოდ სოციალისტურ საფუძველზე და გაუზომელი სარგებლის მომასწავებელია წარმოების მხრით. შემდეგ შეუჩერებელ სამეურნეო პროგრესს, მრეწველობის მეცნიერულად მოწყობას, ტეილორიზმის მეთოდების გამოყენებას—მისი კაპიტალისტურ, ოფლის მწურავ თვისებების უკუგდებით.—საბჭოთა რუსეთში არავითარი დაბრკოლება არ ელობება წინ, გარდა იმისა, რასაც მათ უყენებს გარეშე იმპერიალისტური ძალადობა.

იმ დროს, როდესაც ნაციონალური ინტერესები ეხებიან რა იმპერიალიზმის მადა-მიდრეკილებებს, მთელს დედამიწაზე წარმოადგენენ განუწყვეტელი კონფლიქტების, აჯანყებების და ომების წყაროებს,—სოციალისტურმა რუსეთმა გვაჩვენა, რომ მუშურ სახელმწიფოს შეუძლია უმტკივნეულოთ შეადუღოს ნაციონალური და სამეურნეო მოთხოვნილებები, გასწმინდოს პირველი შოვინიზმისგან, ხოლო მეორე იმპერიალიზმისაგან. სოციალიზმი ისწრაფის გადააბას ერთმანეთს ყველა ოლქები, ყველა რაიონები, ყველა ეროვნები გაერთიანებული მეურნეობის გეგმით. ეკონომიური ცენტრალიზმი კი, განთავისუფლებული კლასის მიერ კლასის, და ნაციის მიერ ნაციის ექსპლოატაციისაგან და მიტომ ყველასათვის სასარგებლო,—უზიანოთ ეგუება ჭეშმარიტს თავისუფლებას ნაციონალური განვითარებისას.

საბჭოთა რუსეთის გამოცდილება – მაგალითზე ხალხები ცენტრალური ევროპის, ბალკანეთის სამხრეთ აღმოსავლეთისა, დიდი ბრიტანეთის სამფლობელოების ყველა დაჩაგრული ერები და ტომები, ეგვიპტელები და თურქები, ინდუსები და სპარსელები, ირლანდიელები და ბოლგარელები, რწმუნდებიან იმაში, რომ კაცობრიობის ყველა ეროვნულ ნაწილების მეგობრული თანამშრომლობის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციის ნიადაგზე.

რევოლიუციამ რუსეთი გადააქცია პროლეტარიატის პირველ სამპყრობელოდ. სამი წლის განმავლობაში მისი საზღვრები მუდმივ იცვლებოდა. მისი საზღვრები ვიწროვდებოდა მსოფლიო იმპერიალიზმის გარედან შეიარაღებული ძალით მოწოლის გამო. ისინი ფართოვდებოდენ, როცა მოწოლის ძლიერება კლებულობდა. საბჭოთა რუსეთისათვის ბრძოლა შეუერთდა და გაიხსნა მსოფლიო იმპერიალიზმის წინაალმდეგ ბრძოლაში. საბჭოთა რუსეთის საკითხი იქცა მუშათა კლასის ყველა ორგანიზაციების გამოსაცდელ საკითხად. გერმანიის სოციალ-დემოკრატიის მეორე ყოვლად უნამუსო გამცემლობა 1914 წ. 4 აგვისტოს შემდეგ იმაში გამოიხატა, რომ მან სახელმწიფოს სათავეში მოქცევისათანვე დასავლეთის იმპერიალიზმის მფარველობის ძიებას შეუდგა იმის მაგიერ, რომ კავშირი შეეკრა რევოლიუციასთან აღმოსავლეთში.

საბჭოთა გერმანია და საბჭოთა რუსეთი, ერთ კავშირში გაერთიანებულნი, ერთბაშათ შეიქნებოდენ უძლიერესი ყველა ერთად აღებულ კაპიტალისტური ქვეყნებზე.

საბჭოთა რუსეთის საქმე თავის საკუთარ საქმედ გამოაცხადა კომუნისტურმა ინტერნაციონალმა. საერთაშორისო პროლეტარიატი მანამდის არ ჩააგებს ქარქაშში მახვილს, სანამ საბჭოთა რუსეთი არ გახდება მთელი მსოფლიოს საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციის ნაწილად.

(დასასრული მე 4 თავის).

# ინტერნაციონალის გარშემო

7 სექტ. უკანასკნელი სხდომა

**ამხ. ზინოვიევის ბოლო სიტყვა**

(დასასრული იხ. „ახ. კომ.“ № 70)

ამხანაგებო! მე მინდა შევეხო აქ ბოლო-სიტყვაში ერთ კითხვას, რომელიც ძლიერ საყურადღებოა იმ რესპუბლიკებისათვის, რომლებიც საბჭოთა რესპუბლიკებს წარმოადგენენ და პირველ რიგში კი, თურქესტანისათვის და სხვა. ეს არის ჩვენი ძმების რესპუბლიკების საკითხი. ამ რესპუბლიკებში წლების და თვეების განმავლობაში სწარმოებდა ბრძოლა, იქ მუშებმა და გლეხებმა დიდის გაჭირვებით მოიპოვეს საბჭოთა მმართველობის ფორმა, იქაური მუშები და გლეხები ძმურ კავშირში არიან საბჭოთა რუსეთთან. იქ, მუშათა და გლეხთა მთავრობის გამტკიცებისათვის გიგანტიურ მუშაობის გვერდით, აგრეთვე უზარმაზარ გადატრიალებებთან ერთად მის გვერდით, ჩვენ ვამჩნევთ ერთ მოვლენას რომელიც ჩვენ არა სასურველ, სამწუხარო მოვლენათ უნდა ჩავთვალოთ. აი, ამ სამწუხარო მოვლენაზე მინდა ვილაპარაკო მე ამ საზეიმო, ისტორიულ ყრილობაზე. დიახ, ჩვენც, რუსეთის საბჭოთა მთავრობამ, რუსეთის სახალხო კომისართა საბჭომ და კომუნისტურ ინტერნაციონალმაც, ყველა ამათ იციან, რომ თურქესთანში და აღმოსავლეთის სხვა მოძმე საბჭოთა რესპუბლიკებშა არიან ისეთი ელემენტები, რომლებიც კომუნისტურ პარტიის სახელით სარგებლობენ და ისეთ რაიმეს სჩადიან, რომ არცხვენენ კომუნისტის სახელს, საზოგადოების ერთ ნაწილს უსისიანებს მეორე ნაწილს, აბუჩად იგდებენ ადგილობრივ მცხოვრებ გლეხობას, ართმევენ მათ მიწებს ძველი, ბურჟუაზიული რუსეთის ზოგი ნაყარ-ნუყარი ვაჟბატონები შემოძვრენ ჩვენს წრეში იქ და განაგრძობენ ძველ, წყეულ, ბურჟუაზიულ და ცარიზმის ტრადიციებით მოქმედებას და ადგილობრივ მცხოვრებლებს უცქერიან, როგორც დაბალ რასის ხალხს. და ეს მოვლენა იწვევს სამართლიან და კანონიერ გულისწყრომას. ჩვენ ამ ყრილობაზე მივმართავთ იმ რუს ამხანაგ კომუნისტებს, წითელ არმიელებს და იმ მოღვაწეებს, რომელთაც უხდებათ აღმოსავლეთში საბჭოთა მთავრობის პოლიტიკურ ხაზის მიხედვით მოქმედება, ჩვენ მივმართავთ მათ და ვეუბნებით: გახსოვდეთ, რომ თქვენ დგეხართ სამარიგ საპასუხისმგებლო პოსტზე, ყოველი თქვენი თუნდაც მცირედი შეცდომა ჩვენთვის ძვირათ ეღირება—მე აქ არ ვლაპარაკობ პირდაპირ ბოროტმოქმედებებზე. ჩვენ მივმართავთ რუსეთის იმ მოღვაწეთ, რომელთაც უხდებათ თურქესტანში, თუ აღმოსავლეთის ქვეყნების სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში მუშაობა და ვეუბნებით მათ, რომ ჩვენი პარტია და კომუნისტური ინტერნაციონალი მოითხოვენ იმათგან მას, რომ ისინი იდგენ კომუნისტობის სახელწოდების სიმაღლეზე, მათ უნდა გაეგებოდეთ, რომ ადგილობრივი მშრომელი მცხოვრებლები — ეს ჩვენი ძმებია, რომ მათ უნდა ერთხელ და სამუდამოთ შესწყვიტონ კავშირი ძველ წყეულ ჩვეულებებთან, რომელიც დაგვიტოვა ჩვენ ბურჟუაზიამ და ცარიზმმა, რომ მათ არ გაბედონ ადგილობრივ მცხოვრებ-მშრომელების აბუჩათ აგდება. მათ თავისი ხელი უნდა მისცენ მოსაკვეთად უმალ, ვიდრე რაიმე უსამართლობას ჩაიდენდენ. (მქუხარე ტაში). იყო ბნელი, სამწუხარო დრო, როდესაც რუსეთის ოფიცრები და რუსეთის ბატონყმური არმიები, რომელთაც ეს ოფიცრები ხელმძღვანელობდენ, იგზავნებოდენ მეფის მიერ იმისთვის, რომ ჩაექროთ ხალხების აჯანყებები, რომ მოესპოთ, მაგალითად, პოლონეთის ხალხის საუკეთესო ნაწილი.

ამ დროს რუსეთის ერთ საუკეთესო მწერალმა, ა. ი. გერცენმა წამოიძახა: როდესაც მე ვხედავ, თუ რას შვებიან ჩემი თანა მემამულეები თუ რას შვება რუსეთის არმია, რუსეთის აფიცრობა, მე მრცხვენია, რომ რუსი ვარო. ასე ამბობდა ა. ი. გერცენი. ჩვენ ეხლა ასეთ დროში არ ვცხოვრობთ. არც ერთ ჩვენთაგანისთვის არ უნდა იყვეს სასირცხო, რომ ის რუსია, იმიტომ რომ რუსეთმა-პირველმა აღმართა წითელი დროშა, რომ ის პირველი დაეხმარა სხვა ხალხებს თავი დაეღწიათ ბატონყმურ მდგომარეობისათვის. მაგრამ უნდა რცხვენოდეთ მათ, ვინც უცოდინარობით, ან თუ ანგარით ჸოყვარეობისათვის შემოვიდენ ჩვენს რიგებში და ისე მოქმედებენ ჩვენს მოძმე საბჭოთა რესპუბლიკებში, რომ ჩვენ ამის მოგონებაზე ვწითლდებოდით სირცხვილისაგან და იძულებული ვართ მოვიგონოთ ა. ი. გერცენის მრისხანე სიტყვები.

ამხანაგებო! ჩვენ ამ ყრილობაზე დამსწრეთ ვაძლევთ პირობას, რომ კომუნისტური პარტია და ინტერნაციონალი გაატეხს ყოველივეს, მასზე დამოკიდებულს, რომ იქნას თავიდანვე ძირფესვიანათ ამოგლეჯილ ცუდი ბალახი. (მქუხარე ტაში). რომ ჩვენ გავსწმინდოთ ჩვენი რიგები და რომ ყოველმა ჩვენთაგანმა, რომელსაც დავალებული აქვს საბჭოთა პოლიტიკა აწარმოოს აზიაში, რომელიც ეხლა აღვიძებს, იცოდეს, რომ ამ საქმესთან უნდა მიხვიდე წმინდა ხელებით და ნათელი გონებით.

ათეული წლებით ფესვებს იდგამდა აზიის ხალხების გულში მართლაც და სამართლიანი უნდობლობა ევროპიელებისადმი, რომლებიც ყოველმხრივ აწუხებდენ აზიის ხალხებს, იბრიყვებდენ და აბუჩად იგდებდენ მათ. ზოგჯერ ეს უნდობლობა მათდა უნებურათ და შეუგნებლათ გადმოაქვთ ეხლა აზიის ხალხებს ახალ, მუშათა ევროპაზე, უმთავრესათ ჩვენს საბჭოთა მთავრობაზე, საბჭოთა რუსეთზე. ჩვენ, როგორც შრომის შვილებმა, როგორც სერიოზულმა რევოლიუციონერებმა უნდა ვიცოდეთ, თუ სად არის ამ უნდობლობის ფესვები. ჩვენ უნდა მივიდეთ იმ ადგილას და თავის მუშაობით, თანამშრომლობით და ერთმანეთისადმი ძმური დახმარებით გაჭირვების და ბნელი წლების დღეებში, ჩავნერგოთ მათ გულში ძმური სიყვარულის გრძნობები, შევქმნათ ერთი ძმური ოჯახი, რომელიც ერთნაირის საშინელებით მოიხედავს ძველ, წყეულ წარსულისაკენ, მოიგონებს იმ შავბნელ წლებს, როდესაც ჩვენ ჩვენდა უნებურათ ერთიმეორის მტრები ვიყავით.

ეს ოჯახი ერთნაირად იბრძოლებს მათ წინაალმდეგ, ვინც ჩვენ გვთიშავს და მიუხედავათ ყოველგვარ დაბრკოლებებისა, ყოველივე ადამიანისაგან შესაძლებელ საშუალებებს იხმარს იმისთვის, რომ ჩვენ შევერთდეთ და შევკავშირდეთ. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ეს ყრილობა და ყოველივე ის, რაც ჩვენ აქ გავიგონეთ, ის, რაც თქვენ აქ ჩვენ გვითხარით და ჩვენი ყრილობის მუშაობა გახდის ჩვენს ერთიან, ძმურ ოჯახს იმდენათ მჭიდროს და ერთი მეორესთან შეკავშირებულს, რომ არავითარი შეცდომებს და კერძო ჯგუფების და პიროვნებების კერძო ბოროტ მოქმედებებს არ შეუძლია ჩვენი გათიშვა. ჩვენ თქვენთან ერთად ერთ ძმურ ოჯახს წარმოვადგენთ, რომელსაც საერთო მტერი ყავს, რომელსაც საერთო მეგობარი სურს და რომელმაც მხოლოდ ერთი იდეალი იცის! (მქუხარე ტაში).

ამხანაგებო, 1905 წლის რუსეთის რევოლიუცია, რომელიც არსებითად იმ დიდ რევოლიუციის რეპეტიცია იყო, რომელსაც ეხლა ჩვენ განვიცდით, აი ეს რევოლიუცია, მიუხედავათ იმისა, რომ ის ძლიერ მალე იქნა გამოგუდული, დამარცხებული, ის მაინც გადვიდა აღმოსავლეთში, ამ რევოლიუციის გამოეხმაურენ ოსმალეთში, სპარსეთში და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში. როგორც 1905 წლის რევოლიუცია—1917 წლის ოქტომბრის რევოლიუციასთან შედარებით ბავშვის სათამაშოს წარმოადგენდა – ისე ის გამოძახილიც, როგორსაც ჩვენი რევოლიუცია ხვდება ეხლა აღმოსავლეთში, მილიონჯერ უფრო ძლიერია იმ გამოძახილებზე, როგორიც ჩვენ ვნახეთ აღმოსავლეთში 1905 წელს. დიახ ამხანაგებო, ათი ათასი ვერსის მანძილზე, მიუხედავათ მანძილისა და ენის სხვადასხვა გვაროზისა, ეს დიდი რევოლიუცია დიდ ქვეყნებში უეჭველათ სხვა ხალხების მშრომელების გულში დაანთებს რევოლიუციონურ ცეცხლს.

რუსეთის რევოლიუციონერისათვის საამაყო არის ის მოვლენა, რომ ამ რევოლიუციამ თავის ცეცხლის ნაკვერცხლები გადისროლა არა მარტო დასავლეთში, აანჯაყა არა მარტო დასავლეთის პროლეტარები, არამედ ჩვენი რევოლიუციის ნაპერწკლები ჩასცვივდა აღმოსავლეთის ტყვეთა-წამლის საწყობებში და ჩვენ ვყურობთ აღმოსავლეთში აფეთქებების ხმას. ამაშია ჩვენი რევოლიუციის დიდი მნიშვნელობა. მან რევოლიუციის ცეცხლი დაანთო არა მარტო დასავლეთში, არამედ ამასვე ჩვენს თვალწინ მოქმედებს აღმოსავლეთშიაც. ამ ჩვენ ყრილობაზე ჩვენ თქვენთან ერთად გამოვდივართ, როგორც დიდ, შეკავშირებულ, კოლექტიურ, აღმოსავლეთში რევოლიუციონურ ცეცხლის დანთებათ ბურჟუაზიის, მებატონეების და კაპიტალისტების წინაალმდეგ (ტაში).

ჩვენ ამ ყრილობაზე არ გაგვირჩევია ბევრი კითხვები, მაგრამ ჩვენ გავარჩიეთ უმთავრესი, ყურადსაღები კითხვები, რომლებიც კი ჩვენს წინაშე სდგას. ჩვენ გავარჩიეთ აქ მიწის საკითხი.

ამ კითხვის გარჩევის დროს ჩვენ ვნახეთ, რომ მიუხედავათ იმისა, რომ აღმოსავლეთში მრავალგვარი პირობებია, ამ კითხვიდან ჩვენ შევძელით გამოგვეყო რაც უმთავრესია და ჩვენ შევსძელით მიუხედავათ მრავალგვარობისა, მიგვეღო ამ კითხვაზე ერთსულოვანი რეზოლიუცია. ეს რეზოლიუცია უმთავრესი კითხვა – მიწის საკითხში მთელი გზის მაჩვენებელია აღმოსავლეთის ათეულ და ასეულ მილიონიან გლეხობისათვის. ჩვენ გავარჩიეთ აგრეთვე ნაციონალური და კოლონიალური კითხვები, ამ კითხვების გარჩევის დროს ჩვენს შორის სრული ერთსულოვნება იყო. ჩვენ გვინდა ლექსიკონიდან ამოვსწვათ თვით სიტყვა —„კალონია“, რომ აწ მაინც არ იქნეს ეს ბინძური სიტყვა, რომელსაც სისხლის, თოფის კონდახების და ძალდატანების სუნი უდის.

ჩვენ გვინდა მოვსპოთ ეს სიტყვა. ჩვენ ვიცით მხოლოდ ძმური ხალხები, რომელთაც სხვა და სხვა წლებში სხვა და სხვა ისტორია განვლეს, რომელთაც ტანჯვის სხვა და სხვა საფეხურები აიარეს, მაგრამ ახლა კი გაიღვიძეს იმისთვის, რომ ერთად შეკავშირდენ, შეერთდენ, რომ ამგვარათ ყველა მშრომელ ხალხების ნამდვილი კავშირი მოაწყონ. ჩვენ შემდეგ გავარჩიეთ კითხვა სახელმწიფოებრივი აღმაშენებლობის შესახებ სახელმწიფოებრივი ფორმების და ჩვენ ამ დიდ ყრილობაზე ვფიქრობდით, რომ თავის თავად ცხადია, რომ თუ სიტყვა შეეხება სახელმწიფოებრივი აღმაშენლობის ახალ ფორმას, ეს ფორმა უკვე მონახულია, ჩვენ არ გვჭირდება მისი ძებნა, ეს არის მმართველობის საბჭოთა ფორმა. (ტაში) ამხანაგებო. ჩვენ მოგვიხდა ყველა სიტყვების გადათარგმნა სხვა და სხვა ენებზე, მაგრამ სიტყვა „სოვეტების“ (საბჭოების) გადათარგმნა არ არის საჭირო. სიტყვა „სოვეტები“ მთელ ქვეყანამ იცის, ის იცის მთელმა აღმოსავლეთმა და დასავლეთმა. აღმოსავლეთშიც მალე იქნება საბჭოები (ტაში).

ამხანაგებო, ჩვენ შევქმენით „მოქმედების საბჭო“, რომელიც ჯერ კიდევ ახლად ჩასახული, ახალგაზრდა ორგანიზაციაა, მაგრამ ამხანაგებო, არც ერთი ამ დარბაზში მყოფი არ იტყვის, რომ მე დიდი ოპტიმისტი ვარ, თუ ვიტყვი, რომ მოქმედების საბჭო აღმოსავლეთში, რომელიც შექმნილია ჩვენი კოლექტიური ხელებით, უკვე უფრო ძლიერია, ვიდრე ინგლისის ბურჟუაზიული მინისტრთა საბჭო ან და სხვა მინისტრთა საბჭოები. (ტაში).

ინგლისის და საფრანგეთის მინისტრთა საბჭოები ყოველდღეობით დნებიან, ისინი მოკვდებიან მთლეი კაცობრიობის თვალის წინ, ის ეხლა განიცდის ნაგაზის მოხუცებულობის დღეებს.

აღმოსავლეთის ხალხები კი—ეს ამომავალი ვარსკვლავია—ჩვენ თქვენთან ერთად, ამხანაგებო, დიდ მძლავრ სახელმწიფოდ გადავიქცეთ. მარქსის სიტყვებით, რომ ვსთქვათ, მთელი დასავლეთი—ინგლისის და საფრანგეთის იმპერიალიზმი ერთ ბიჯსაც ვერ გადადგამენ წინ, თუ წინასწარ კარგათ არ მოიფიქრენ იმაზე, თუ როგორ გამოეხმაურება ამას აღმოსავლეთის ხალხები, მიიღებენ თუ არა რაიმე ზომებს იმპერიალისტების წინაალმდეგ? ჩვენში აქ დავა არ გამოუწვევია იმ კითხვას, საჭიროა თუ არა საბჭოები, ეს ჩვენთვის ცხადია. ჩვენ არ გვიდავია იმაზე, საჭიროა თუ არა ჩვენი გაერთიანება, ეს ჩვენთვის ცხადზე უცხადესია. აბა შეხედეთ, თუ როგორ კავშირდება ბურჟუაზია! ყველა ენებზე ლაპარაკობენ სიტყვას „ანტანტა“ „ანტანტა“. რას ნიშნავს ეს სიტყვა?

ანტანტა –ეს გულითად კავშირს ნიშნავს, სულით და გულით გაერთიანებას. და ჩვენ კი ვამბობთ, რომ ამ შეთანხმებაში გული იმდენ როლს არ თამაშობს, რამდენსაც ფულის ყუთი და ქისა. (ტაში) აბა შეხედეთ თუ როგორ ეს ანტანტა ჩვენს თვალ წინ ირღვევა. მათ არ შეუძლიათ თუნდაც ერთი კითხვის გადაჭრა, ისინი კვანტს უდებენ ერთი მეორეს, ედავებიან ერთი მეორეს. მათ მთელი ევროპის „კურორტები“ (საავარაკო ადგილები) შემოიარეს, რომ იქ განეხილათ „რუსეთის საკითხი“. მთელ თავის ძალ-ღონეს ისინი რუსეთის კითხვის გადაწყვეტას ანდომებენ. ეს კითხვა მათთვის ისეთი კანმაგარი ნიგოზის ნაყოფია, რომლის გემო ჯერ კიდევ ვერ გასინჯეს და ვერც მომავალში გასინჯავენ. (მქუხარე ტაში).

ამხანაგებო, ჩვენი ყრილობის შემდეგ, ჩვენ სრული უფლება გვაქვს ვსთქვათ: ინგლისის და საფრანგეთის იმპერიალისტ-ყაჩაღები ვერასოდეს ვერ გადასწყვეტენ მათთვის ეგრეთ წოდებულ წყეულს—რუსეთის საკითხს და ჩვენ კი თქვენთან და კომუნისტურ ინტერნაციონალთან ერთად, ჩვენ რამოდენიმე წლის განმავლობაში გადავსწყვეტთ ევროპის საკითხს (მქუხარე ტაში) ამხანაგებო! პირველი ორი დღე ჩვენ იმ კითხვის გადაჭრას მოვანდომეთ, თუ როგორი დამოკიდებულება ვიქონიოთ ანტანტასთან დ იმპერიალიზმთან. და ჩვენთვის ის წუთი პირველ მოხსენების შემდეგ როდესაც აღმოსავლეთის ხალხთა წარმომადგენლებმა ფიცი დასდეს, რომ დაიწყებენ სამღრთო ომს, ეს წუთი შეინახება ჩვენ გულში, როგორც წმინდა. ეს იყო დასაწყისი ყოველივე დასაწყისის, ეს არის ის, რაც ჩვენ გვაერთებს.

დიახ, სამღვრთო ომი უნდა გამოუცხადოთ მტაცებლებს და კაპიტალისტებს. და თქვენ, როგორც საქმის და არა სიტყვის ხალხი, ამ ფიცს გადიტანოთ ფაქტების ენაზე. სახლში დაბრუნებისას თქვენ გადასცემთ, მოუთხრობთ ხლეხებს და გლეხ ქალებს, ყველა მშრომელებს თუ რა გადავწყვიტეთ ჩვენ აქ, რა ფიცი მივიღეთ, როგორი სამოქმედო ხაზი ავირჩიეთ. და ჩვენ ვიგრძნობთ თუ როგორ ყოველ საათობით იმატებს ჩვენი გაერთიანების ძალა, ჩვენ სულ ზევით წავალთ, ჩვენ მიუახლოვდებით უკანასკნელ ზღუდეს და ამ ზღუდესაც ავიღებთ, მას გადავლახავთ ჩვენ, ჩვენ გავათავებთ სამოქალაქო ომს. ჩვენ ძმურ ხელს გაუწვდით დასავლეთს, ევროპას და ამერიკას, ჩვენ შევერთდებით ერთ ძმურ ოჯახში და დავიწყებთ ახალი ცხოვრების შენებას! (ტაში) კარლ მარქსმა, რომელიც ჩვენი საერთო მასწავლებელია, 70 წლის წინათ ასეთი მოწოდებით მიმართა ქვეყნიერობას: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით.“ ჩვენს კარლ მარქსის მოწაფეები ვაგრძელებთ ამ გზით მუშაო-

ბას, ჩვენ შეგვიძლია გავაფართოვოთ, გავაღრმავოთ ეს ფორმულა, დაუმატოთ მას და ვსთქვათ: პროლეტარებო ყველა ქვეყნისა და მთელი მსოფლიოს დაჩაგრულებო, შეერთდით! (მქუხარე ტაში. იმღერიან „ინტერნაციონალს"). ამხანაგებო, კომუნისტურ ინტერნაციონალს და მთელი ქვეყნის მუშებს ჩვენ ვერ მიუტანთ იმაზე უფრო სასიხარულო ამბავს, რომ დასავლეთის და ამერიკის მუშების შეკავშირების შემდეგ, შეკავშირდენ და გაერთიანდენ აღმოსავლეთის მთელი მშრომელები. გულიდან ამოვიგლიჯოთ ყოველივე ის, რასაც შეუძლია ჩვენი გათიშვა. გვახსოვდეს რომ ჩვენა გვყავს საერთო მტერი—ეს არის ინგლისის და საფრანგეთის კაპიტალიზმი. აღმოსავლეთისა და მთელი ქვეყნის ხალხების გასანვითარებლათ ჩვენ შევსწირავთ ჩვენს სიცოცხლეს და რომ გვქონდეს ათს და ათას ჩვენს სიცოცხლესაც. (მქუხარე ტაში. იმღერიან ინტერნაციონალს).

**თავმჯდომარე**. ამხანაგებო! ყრილობის პრეზიდიუმი მოგილოცავთ თქვენ, რომ ასე სასურველათ დამთავრდა ჩვენი ყრილობა და აღმოსავლეთის ხალხთა პირველ ყრილობას დახურულათ აცხადებს.

გაუმარჯოს ინტერნაციონალს! (მქუხარე ტაში. ისმის ურას ძახილი იმღერიან ინტერნაციონალს) სხდომა იხურება 7 სექტემბერს საღამოს 10 საათზე და 40 წუთზე.

# ბიულეტენი პრესბიუროსი

**რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლობისა საქართველოში.**

### პრესის მიმოხილვა.

**მოსკოვი**, 15 ოქტ. „კომუნისტური შრომა" სწერს: „ცხოვრებამ ახალი ამოცანები წამოაყენა. ამ ამოცანების გადასაწყვეტათ დღეს ჩვენ ვხედავთ სრულიად ახალ საშვალებებს. დღეს პირველათ იკრიბება მაზრების სოფლის საბჭოების თავმჯდომარეთა თათბირი. ეს არ არის საბჭოების საგუბერნიო ყრილობა, არც უპარტიო გლეხების და მუშების საგუბერნიო კონფერენცია. ეს თათბირი საბჭოთა ყრილობის და უპარტიოთა კონფერენციის ყოველივე დადებითი ხასიათს ატარებს. დღევანდელი საგუბერნიო თათბირი ფართე მასის ნება-სურვილს გამოხატავს. საგუბერნიო თათბირი - ეს მორიგი ნაბიჯია ქალაქისა და სოფლის დაახლოვების გზაზე, მათ მიერ ერთმანეთის გაგების, დახმარების. თათბირზე პირისპირ შეხვდებიან ერთმანეთს ფაბრიკის მუშა და რუსეთის მივიწყებულ კუნჭულის მცხოვრები. თათბირი მუშების და გლეხების მიერ ბრძოლაში შეკრულ კავშირს გამტკიცებს.

### შოტლანდიის კომუნისტური პარტია

**მოსკოვი**, 16 ოქტომბერი. შოტლანდიაში მოეწყო კომუნისტური პარტია, რომელიც შოტლანდიის მუშათა საბჭოებს ეყრდნობა.

### რევოლიუციონური მოძრაობა ინდოეთში.

**მოსკოვი**, 16 ოქტომბერი. ინგლისის გაზეთები იუწყებიან: „ინდოეთის ყველა დიდ ქალაქებში მოძრაობა დაიწყო. ბომბეიაში მთავარი ქარხნის მუშები გაიფიცნენ, გაიფიცნენ აგრეთვე ფოსტის და ტრამვაის მოსამსახურეებიც.

### ისპანიაში რევოლიუცია ახლოვდება.

**მოსკოვი**, 11 ოქტომბერი. ნორვეგიიდან რადიო იუწყება: „ისპანიაში რევოლიუციონური ბრძოლა ფრიად გამწვავდა.

მთავრობამ შეაიარაღა ბურჟუაზია, მოსპო სიტყვის, პრესის და კრების თავისუფლება. ციხეები ტუსაღებით სავსეა". რადიო ასე თავდება: „ისპანიაში რევოლიუცია ისე მოულოდნელათ იფეთქებს, როგორც ეს რუსეთში მოხდა".

### რუსეთის ზავი პოლონეთთან.

**მოსკოვი**, 15 ოქტომბერი. „პრავდაში" რადეკი სწერს:

„წინასწარი ზავი, რომელიც რიგაში პოლონეთსა და რუსეთს შორის დაიდო, არის შედეგი ერთის მხრივ რუსეთის სამხედრო ძლიერების დროულ-კერძო ხასიათის მარცხისა, და მეორეს მხრივ შედეგი პოლონეთის ბურჟუაზიის მიერ იმის შეგნების, რომ, თუ ეს ომი გაგრძელდა, იგი პოლონეთის ბურჟუაზიის ბატონობას იმსხვერპლებს. ნივთიერი და მორალური რესურსები რუსეთს ბევრად მეტი აქვს, ვიდრე პოლონეთს. პოლონეთის მხრივ წინასწარი ზავი იმპერიალისტური მტაცებლობის იარაღს წარმოადგენს. პოლონეთი იკავებს აღმოსავლეთ გალიც., სადაც 4 მილ. უკრაინელი ცხოვრობს, რამდენიმე მილიონიანი მცხოვრებით ბელორუსიის ნაწილის. პოლონეთი საშინლად ავიწროვებს ლიტვას, შერის მას რუსეთთან გზას, ართმევს ვილნოს გუბერნიას ქალაქ ვილნოთ, უკანასკნელით—იგი ცდილობს ჩაითრიოს ლიტვა რუსეთის საწინააღმდეგო კავშირში. პოლონელი მემამულეები იძულებული შეიქმნენ გამოსალმებოდენ, დაევიწყებიათ ბრძოლის მთავარი ობიექტი —უკრაინა. იგი ფაქტი, რომ პოლონელები განაგრძობდენ წინასწარ ზავზე მოლაპარაკების დროს წინსვლას კიევისაკენ, გვიმტკიცებს, რომ მათ აქვთ გეგმა, რაც შეიძლება მეტი ნაწილი დაიჭირონ უკრაინის ტერიტორიის, რათა მათი ყურმოჭრილი მონამ—პეტლიურამ დამოუკიდებლად განაგრძოს ომი. თუ პოლონეთი ამ გაიძვერულ გეგმას ნამდვილათ ატარებს, იგი უეჭველათ მოტყვილებულ მატყუარას მდგომარეობაში ჩავარდება. თვით ომისგან ღონე მიხდილი პოლონეთის ხალხი არ მოიტყუილებს თავს. საფრანგეთის იმპერიალისტური პრესა კიდევ ურჩევს ხოლმე პოლონეთს ომის განგრძობას, ვინაიდან მას არ სურს წინასწარ ზავის ნამდვილ ზავათ გადაქცევა... რუსეთის მუშებმა და გლეხებმა უნდა იზრუნონ პოლონეთთან ზავისთვის: იმისთვის საჭიროა სასწრაფოთ ვრანგელის შემუსვრა.

### ვინ არიან ჩვენი მტრები.

**მოსკოვი**, 16 ოქტომბერი. „იზვესტია" სწერს: „შეკრა თუ არა რუსეთმა ზავი პოლონეთთან და ფინლანდიასთან, ბურჟუაზია გაფაციცებით შეუდგა ვრანგელის დახმარებას. პარიჟში რუსეთის ბურჟუაზიამ მოაწყო ახალი კავშირი, მოჰკრიბა დიდძალი დახმარება თეთრი ბარონისათვის. აგრეთვე გერმანიაშიც რუსეთის ბურჟუაზია გააფთრებულ აგიტაციას ეწევა ვრანგელის სასარგებლოთ, მას ეხმარება გერმანიის მემამულეები და ბანკირები. ვრანგელს პეტლიურას დელეგაციაც ეწვია. ვის წინააღმდეგ ახდენენ შეთქმულებას ვრანგელი და პეტლიურა? რუსეთის და უკრაინის მუშების და გლეხების წინააღმდეგ. თავის უკანასკნელ წერილში ამხ. ტროცკი აღნიშნავს, რომ პეტლიურა არა მარტო საფრანგეთის მთავრობისგან ღებულობს დახმარებას, არამედ რომის პაპიდანაც ღებულობს სამხედრო მასალებს.

ვრანგელი მზათაა ვისგანაც უნდა იყოს მიიღოს დახმარება, ოღონდ—კი მემამულეების და ბურჟუაზიის ინტერესები დაიცოს.

მუშებო და გლეხებო! ჩვენ წინააღმდეგ აღიჭურვენ ომით ბარონი, საფრანგეთის ბურჟუაზია და რომის პაპა; ჩვენ უნდა შევმუსროთ ეს ბანდები!

### პოლონეთი მოატეხილია.

**მოსკოვი**, 17 ოქტომბერი. „იზვესტია" სწერს: „თანახმათ ხელშეკრულობისა დღეს პოლონეთთან უნდა დაიწყოს დროებითი ზავი. უნდა მოველოდეთ, დროებითი ზავს ნამდვილი ზავი მოყვება. პოლონეთის შინაური მდგომარეობა უნუგეშოა; ახერ ახლა ლოძში ასი ათასამდის მუშა იყო გაფიცული. ვარშავაში რკინის გზის მუშები გაიფიცენ, ვარშავის ახლო რკინის გზებზე მოძრაობა შეჩერებულია.

პეტროგრადში ჩამოსული პოლონელი კომუნისტი პაშტა იუწყება, რომ კომუნისტური პარტია პოლონეთში მაგრდება. მოსალოდნელია, რომ ამ გვარ პირობებში პოლონეთის ბურჟუაზია ადვილად დათანხმდება ზავის ჩამოგდებაზე, მაგრამ რუსეთის მუშებს და გლეხებს მაინც სიფრთხილე მართებსთ.

## მაისის თვეში.

(წარსულიდან).

მაისის თვეში! ვარდ-ყვავილებზე
როცა დაჰქროდა ნიავი წყნარი,
მაშინ განვშორდი **ქვეწარმავლობას**,
მაშინ მოვმართე მე ჩემი ქნარი.

მაისის თვეში,—როს ბრძოლის ველზე
მუხანათურად დამსჭრეს, დავეცი;
არ მახსოვს, მაშინ ჩემი სიცოცხლე
ვის გავატანე, ვის გადავეცი.

მაისის თვეში მომიკლეს სატრფო:
ჩემსავით წრფელი, ჩემსავით მთვრალი;
მაისის თვეში დავკარგე დედა,
მაისის თვეში დავხუჭე თვალი.

მაისის თვეში მომართულ ჩანგზე
როცა დაიწყო სიმებმა ჟღერა,—
ის იყო, მაშინ შემომძლვნეს კუბო,
ზედ დაასვენეს ჩემი სიმღერა!

**ი. ხონელი.**

### გაფიცვები ბუდაპეშტში.

**მოსკოვი**, 17 ოქტომბერი. 3 ათასი მკერავი მუშა ბუდაპეშტში გაფიცვას აცხადებს. ეს პირველი ორგანიზაციული მოძრაობაა პროლეტარიატის დიქტატურის დაცემისშემდეგ. მეპატრონეებმა ლოკაუტი გამოაცხადეს, ელიან, რომ მთავრობა მათრახის საშვალებით დააშოშმინებს ურჩთ.

### რევოლიუციონური მოძრაობა იტალიაში.

**მოსკოვი**, 17 ოქტომბერი. თითქმის მთელს იტალიაში გაიმართა დემონსტრაციები რუსეთისთვის თანაგრძნობის გამოსაცხადებლათ. მოეწყო მიტინგები. შეწყდა რკინის გზებზე მოძრაობა, შეაჩერეს მუშაობა ფაბრიკა—ქარხნებში.

### ინგლისში ქვანახშირზე მომუშავეთა გაფიცვა.

**ლიონი**, 17 ოქტომბერი. შაბათს შუადღეზე ყველა მაღაროებში დაიწყო გაფიცვები. ღამე მომუშავე ჯგუფებმა წაიღეს სამუშაო იარაღები, დღე მომუშავეები—კი სრულიად არ გამოცხადებულ არიან სამუშაოზე. ლოიდ-ჯორჯი მოწოდებით მიმართავს ხალხს დამშვიდდენ და მოეხმარონ მთავრობას.

### შეიდემანელების ყრილობა.

**ნაუენი**, 18 ოქტომბერი. მეუმრავლესე სოციალისტების ყრილობამ ახალი პრეზიდიუმი აირჩია. თავმჯდომარემ, გერმან მიულერმა განაცხადა, რომ კომიტეტის განკარგულებით, ის პირები, ვინც მინისტრებათაა დანიშნული, ერთ და იმავე დროს კომიტეტის წევრათაც იყვეს შეუძლებელიაო.

### საკითხს სწყვეტენ.

**ნაუენი**, 17 ოქტომბერი. გერმანიის ქვა ნახშირზე მომუშავეთა ყრილობამ ქვა-ნახშირის მრეწველობის ნაციონალიზაციის საკითხი განიხილა. კომისიამ მრეწველობის ნაციონალიზაციის წინადადება შემოიტანა. მეპატრონეებმა, განუხორციელებლათ ჩასთვალეს იგი. მაშინ ყრილობამ დაადგინა, რომ ყველა პარტიებმა მუშების დელეგატების თანამშრომლობით გამონახონ უმჯობესი საშვალება საკითხის გადასაწყვეტათ.

დანიშნეს სოციალური კომიტეტი, რომელმაც საბჭოს დახმარებით უნდა გადაწყვიტოს ეს საკითხი.

### სამაზრო და სასოფლო საბჭოების თათბირი

**მოსკოვი**, 15 ოქტომბ. დიდ თეატრში შესდგა პირველი სხდომა მოსკოვის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის მიერ მოწყობილი მოსკოვის გუბერნიის სამაზრო და სასოფლო საბჭოების თათბირისა. თათბირში მონაწილეობას ღებულობდა მოსკოვის საბჭოს პლენუმი. თათბირზე 3000 დელეგატი გამოცხადდა ადგილებიდან, რომლებიც მეტ ნაწილათ არა კომუნისტებია. რუსეთის საგარეო და საშინაო მდგომარეობაზე მოხსენებით გამოვიდა ამგ. ლენინი. მომხსენებელი განსაკუთრებული ყურადღებით შეეხო ჩვენს პოლონეთთან ურთიერთობას და ვრანგელის განადგურების აუცილებელ საჭიროებას. მოხსენების და მასზე მცირე კამათის შემდეგ, თათბირმა შემდეგი რეზოლიუცია მიიღო: „მოისმინა რა ამხ. ლენინის მოხსენება რუსეთის საერთორისო და საშინაო მდგომარეობაზე თათბირი კმაყოფილებას გამოთქვამს ფინლიანდიასთან ზავის ჩამოგდებისა და პოლონეთთან წინასწარი დროებითი ზავის მოწყობის გამო. პოლონეთის მთავრობის ზავზე დათანხმებას ჩვენ ვხსნით იმის შედეგათ, რომ მან იგრძნო საბჭოთა რუსეთის ძლევა-მოსილება, და რომელიც (საბჭოთა რუსეთი) ცდილობს პოლონეთის და რუსეთის მუშებსა და გლეხებს სიცოცხლე შეუნარჩუნოს.

თათბირი მოაგონებს მუშებს და გლეხებს, რომ პილსუდსკის მთავრობა ბნელ იარაღს წარმოადგენს საფრანგეთის ბურჟუაზიის ხელში და ამის გამო მშვიდობიანობის დარღვევა ყოველ წუთშია მოსალოდნელი. თათბირი აღიარებს, რომ უახლოესი გზა მტკიცე ზავის ჩამოსაგდებათ არის სრული განადგურება ვრანგელის ბანდების. ამიტომ იგი მოუწოდებს რუსეთის მშრომელ მასებს შემოიკრიბონ ძალები ვრანგელის სამუდამოთ შესამუსრავათ.

## უკანასკნელი ცნობები

**სამხ. ოპერატ. 18 ოქტომბრის რადიო-ცნობა რესპუბლიკის „რევოენსოვეტის" საველე შტაბისა.**

**მოსკოვი, 18 ოქტომბერი.**

### პოლონეთის ფრონტი

პოლოცკის რაიონში გრძელდება სახელმწიფოებრივ საზღვრებისაკენ დახევა. ჩვენ ისევ დავიკავეთ მინსკი, რომელიც პოლონელების ნაწილებმა დასტოვეს.

სლუცკის აღმოსავლეთით გრძელდება მკაცრი ბრძოლები. ჩვენი ნაწილები მტრის ძლიერი შეტევის გამო ახალ პოზიციებს იკავებს.

პოლოცკის რაიონში ჩვენი ნაწილები შეტევაზე გადმოსულ მოწინააღმდეგეს იგერიებს.

სარნენის მიმართულებით მკაცრი ბრძოლების შემდეგ მოწინააღმდეგე უკუქცეულ იქნა. ჩვენ რამდენიმე პუნქტები დავიკავეთ.

ნოვო გრად-ვოლინის რაიონში უმნიშვნელო შეტაკებებია. ჩვენმა ნაწილებმა რამოდენიმე სოფელი დაიკავეს ნოვო გრად-ვოლინის ჩრდილო-აღმოსავლეთით.

შჩეპეტოვის მიმართულებით მოწინააღმდეგე შეტევას აწარმოებს როგაჩევიდან 60 ვერსზე, მკაცრი ბრძოლები გრძელდება.

ლეტიჩევის რაიონში მკაცრი ბრძოლებია ცვალებადი შედეგებით.

ნოვო უშინის მიმართულებით ქალაქ ბარის რაიონში გაცხარებული ბრძოლებია. ჩვენ ხელმეორეთ დავიკავეთ ბარი და მიტვი.

### ყირიმის ფრონტი.

ალექსანდროვსკ-ს ინგლინკოვის რკინის გზის რაიონში ჩვენ გავფანტეთ მოწინააღმდეგე, რომელიც სად. სოფიაზე ცდილობდა შემოტევას.

ხერსონის რაიონში ჩვენმა ნაწილებმა ქალ. ალიოშკი დაიკავეს.

### გაფიცვები ინგლისში.

**მოსკოვი**, 18 ოქტ. ინგლისში გაფიცულია ორი მილიონი მუშა. ქვანახშირზე მომუშავეთა გარდა გაფიცულია 250 ათასი მეტალისტი, 70 ათასი საქსოვ-სართავი ფაბრიკების მუშები.

გაფიცვებმა ვაჭრობის შეწყვეტა გამოიწვია. გემები ნავთსადგურებიდან არ იძვრიან.

### მრეწველობის სოციალიზაციის მოთხოვა.

**მოსკოვი**, 18 ოქტ. ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების ყრილობამ გერმანიაში გამოიტანა რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს არა მარტო ქვანახშირის, არამედ ყოველგვარ მაღაროების ნაციონალიზაციას.

### ამხ. ჯონ რიდის სიკვდილი.

**ნაუენი**, 18 ოქტ. ამერიკის წარმომადგენელი მესამე ინტერნაციონალში, კომუნისტი ჯონ რიდი დილით 17 ოქტომბერს მოსკოვში ტიფით გარდაიცვალა.

მომავალ კვირას მოხდება საზეიმო დასაფლავება.

## ახალი ამბები

— **ამხანაგების საყურადღებოთ** „ნემსის პროლეტარების" პროფესიონალურ კავშირის წევრთა 17 ოქტომბრისათვის მოწვეული კრება, კავშირის წევრთა მცირე რიცხოვნობის გამო გადაიდო 20 ამ თვისთვის. კრება შესდგება დღეს ოთხშაბათს მუშათა სასახლის შენობაში საღ. 5 საათზე. დასწრება კავშირის ყველა წევრთათვის სავალდებულოა.

დღის წესრიგია: 1) მუშების ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება, 2) უმუშევართა ფონდის მოწყობა და 3) სხვა და სხვა.

## წერილი ციხიდან.

**„მოვიდა სომეხი და მოიტანა სხვა მეხიო".**

არა ერთხელ და ორხელ მოპითავსებია გაზ. „კომუნისტის" ფურცლებზე წერილი ლეჩხუმელი გლეხ-კაცების შესახებ და ახლა კიდევ მიხთება ისევ მათზე წერა. თუ რატომ, ამას მკითხველები ქვევით დაინახავენ.

მკითხველები ალბად გაეცნობოდენ გაზ. „ახ. კომუნისტის" № 44-ში ბ. მაღნარაძის საქციელს ლეჩხუმელი გლეხკაცების მიმართ, ე. ი. ჩვენი ამხ. რომლებიც დღესაც ქუთაისის საგუბერნიო ციხეში სხედან. იქ მე ვამბომდი:

„29 აგვისტოს ციხეში მოვიდა ბ. მაღნარაძე და საგუბერნიო ციხის უფროსი დემურია, რომლებმაც გამოუცხადა ზოგ ამხანაგებს გადასახლება და ზოგს კი განთავისუფლება.

ამ „ახალი" ამბის გამოცხადების დროს, ბ. მაღნარაძემ ერთ ლეჩხუმელ ამხ. დაუნახა ციხის ბილეთი, რომელშიაც იყო აღნიშნული; ეს და ეს კაცი არის ლეჩხუმის სამაზრო მილიციის უფროსის განკარგულებით დაპატიმრებული, როგორც ბოლშევიკი და ირიცხება შინაგან საქმეთა მინისტრზე"-ო.

ეს რომ დაინახა ბ. მაღნარაძემ, ციხის უფროსს მისცა შენიშვნა და უბრძანა, „ახლავე იქნეს სუყველასაგან ბილეთები გამორთმეული და შიგ აღნიშნული ისე, როგორც გაქვენ ბრძანება მიღებულიო".

ორი საათის შემდეგ ციხის ადმინისტრაციის მიერ გამოგზავნილმა პირმა წაიღო ზოგიერთ ამხ. ბილეთი. მხოლოდ არ ვიცით რას ჩასწერენ. მაგრამ რაც უნდა ჩასწერონ ჩვენთვის სულ ერთია, ვინაიდან, როგორც ბ. მაღნარაძეს, ისე სხვებსაც კარგათ მოეხსენებათ, რომ ჩვენ გვდევნიან და ციხეებში გვალპობენ მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ კომუნისტები ვართ".

იმის შემდეგ ციხის ადმინისტრაციას ბილეთი არ დაურიგებია ამხანაგებისათვის, არც ახალი და არც ძველი. მაგრამ გავიდა დრო და აი ოქტომბრის 1 „გვესტუმრა" შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის დირექტორი ბ. გეგელაშვილი, რომელმაც მოგვიტანა „ახალი" არაჩვეულებრივი, მაგრამ დამპალი, ძველად ძველების მიერ გამოგონილი, შემდეგი ამბავი:

მან 19 ამხანაგს გამოუცხადა, რომ „ჯერ თქვენი ამბავი გამოურკვეველი არის და არ ვიცი თუ რა მოგელითო, მხოლოდ ვიცი რომ განთავისუფლებთ

არ გაგანთავისუფლებენო“.

გარდა ამ 19 ამხანაგისა აქ კიდევ არიან 10 ლეჩხუმელი ამხანაგი, რომლებიც აგრეთვე მოელიან ბ. გეგელაშვილისაგან რაიმე გარკვეულ პასუხს მათი მდგომარეობის შესახებ.

ამგვარ შეკითხვაზე გეგელაშვილმა მათ ვითომდა დიდი გაკვირვებით უპასუხა: „ლეჩხუმელები ხომ ბოლშევიკები არიანო“.

რასაკვირველია ბ. გეგელაშვილის ასეთმა პასუხმა ყველა ამხანაგები ძალზე აღაშფოთა როდესაც ლეჩხუმელმა ამხანაგმა ხელში მისცა ციხის ბილეთი, რომელშიდაც იყო ზევით აღნიშნული წარწერა, ბ. გეგელაშვილმა უპასუხა; „ეს შეცდომით არისო“.

გეგელაშვილმა უბრძანა ციხის უფროსს, „დღესვე გადაიყვანეთ ლეჩხუმელები სხვა ციხეში“-ო.

აქ მკითხველებისთვის ადვილი გასაგებია, თუ საიდან ყოფილა გეგმა შემუშავებული ლეჩხუმელების წინაალმდეგ.

როდესაც ბ. მაღნარაძის წინადადებით ზოგიერთ ამხანაგებს ბილეთები გამოართვეს, რომ შიგ აღენიშნათ ის ზევიდან შემუშავებული „სეკრეტები“, რომელიც ითხზებოდა ლეჩხუმელ ამხანაგებზე, ეს ხომ გამოაქვეყნა გაზ. „ახ. კომუნისტის“ № 44-ის ფურცელმა! მას შემდეგ სხვა ბილეთები მათთვის ადმინისტრაციას არ დაურიგებია. მხოლოდ ამ „სეკრეტების“ გამოაშკარავება გაბედა უსირცხვილოდ, უნამუსოდ, ბ. გეგელაშვილმა.

როდესაც ლეჩხუმელ ამხანაგმა კითხა ბ. გეგელაშვილს, „აბა რა ვართ თუ არა კომუნისტები“-ო?

ბ. გეგელაშვილმა უპასუხა; „თქვენ ხართ შავ-რაზმელები“-ო.

მე აქ რასაკვირველია, არ შევუდგები იმის მტკიცებას, რომ ლეჩხუმელი გლეხკაცების მოძრაობა იყო ბოლშევიკური და არა ის, რაც უწოდა ბ-ნ გეგელაშვილმა მაგრამ, მისი თქმით სჩანს, რომ მაშინდელი ლეჩხუმელი გლეხკაცების ბრძოლის მიზანი მას ოდნავადაც არ ახსოვს და, მინდა ზოგიერთი რამ გავახსენო.

ბ. გეგელაშვილი როდესაც ლეჩხუმელ ამხ. ბრალსა სდებს იმაში, რომ ისინი არიან შავ-რაზმელები და არა კომუნისტები, ამ დროს მას ალბათ დავიწყებია, თუ რას სწერდენ მათი გაზეთები 1918 წელს, როდესაც ლეჩხუმის წინაალმდეგ მათი რაზმები იბრძოდენ.

მიბრძანდით ბ. გეგელაშვილო, გაზ. „ერთობის“ რედაქციაში და იქ რედაქტორს სთხოვეთ 1918 წლის „ერთობის“ № 196-ი, იქ ამოიკითხავთ, თუ ვის წინაალმდეგ იბრძოდა მენშევიკების რაზმები. ეს თუ ცოტაა, იმ შემთხვევაში შორს არ მოგიხდებათ წასვლა და შებრძანდით გაზ. „სახალხოს“ რედაქციაში და იქ ნახავთ იმავ წლის № 199 „სახალხო ფურცლის“ სადაც ნათლად ორის დაბეჭდილი, თეთრზე შავად თუ ვის წინაალმდეგ იბრძოდა გენერალ სუმბათაშვილის ჯარი სამივე მხრით ლეჩხუმში!.. ყველა ამის შემდეგ, თქვენ გინდათ, რომ ლეჩხუმლების მოძრაობა გააშაოთ.

ტყუილი ცდაა ბატონებო! ძლიერ მძიმე ტვირთზე გიტაცნიათ ხელი და ამის დამტკიცებას თქვენი იურიდიული „მეცნიერება“ ვერ შესძლებს. ბ. გეგელაშვილმა, როდესაც ციხის უფროს უბრძანა: „დღესვე გადაიყვანეთ ცალკე ლეჩხუმლებიო“, მე მას სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიე, რის შემდეგ, კარცერით დამემუქრა.

მკითხველები უსათუოდ დაინტერესდებიან გაიგონ, თუ რა უნდოდათ ამით მენშევიკებს.!

ეს ადვილი გასაგებია. მენშევიკებს კომუნისტები ციხეებიდანაც უფრთხობენ ძალს. მათ კარგათ იციან, რომ კომუნისტების ასე უსამართლოთ ციხეში ჩალპობას არ აპატიებს ქართველი მშრომელი ხალხი. ეს კარგათ იციან მენშევიკებმა, და აი ახლა რას არ მიმართავენ, რომ კომუნისტებს კომუნისტობა ჩამოართვან ხალხის თვალში, რის შემდეგ ლეჩხუმლები დაბალ ლობეთ დაინახეს და მოინდომეს მათი გაშავება. მაგრამ ამაოთ. ასეთ ხრიკებით ფონს ვერ გახვალთ ბ-ბო!

რაც შეეხება ჩემ კარცერში ჩამწყვდევით შეშინებას, მოვახსენებ ბატონ გეგელაშვილს, რომ მე უფრო მეტი მომელოდა და იმას არ წაუხდენივარ!

ნუ შეწუხდებით ბ-ნო გეგელაშვილო, რომ ჩვენში ვინმე შავ-რაზმელი იყოს. ასეთებს კომუნისტებთან ადგილი არა აქვთ.

თუ კი მაინც და მაინც ძალიან გაინტერესებთ მათი ნახვა, მაშინ რაღა შორს მიდიხართ: მიიხედ-მოიხედეთ გარშემო დააკვირდით დღევანდელ ბატონ-პატრონს და შეხედავთ სად იმყოფებიან შავრაზმელები.

**სანდრო ქაჯაია.**

# სოფელი და მიწის მუშა

**სოფ. კოწია (სენაკის მაზრა**

სამწუხარო სურათს წარმოადგენს ამ სოფლის მუშათა ცხოვრება მენშევიკების ხელში. როგორც სხვაგან ისე აქაც მეტის მეტ შიმშილობას ქონდა ადგილი. თითქმის უმეტესი ნაწილი მცხოვრებლებისა ხილეულობით იკვებებოდა. მშიერი ხალხი სულ იმას ეხვეწებოდა ღმერთს, რომ რამეფერად მარიამობის თვემდი ცოცხალი გადარჩენილიყო, და იქნება მერე არ დავიხოცოთ შიმშილითო. მაგრამ საუბედუროთ საშინელმა ქარმა მეტად დააზიანა ახალი მოსავალი რის შემდეგაც გაგრძელდა მოსავლის მოუსავლობა და ხალხის აუტანელ მდგომარეობაში ყოფნა.

მაგრამ მაინც, როგორც კი გაიკეთა ტარო სიმინდმა, დაუწყეს ყანებს ტეხა და როდესაც ხელით ვერ აშორებდენ ტაროდან სიმინდის კაკალს დანით თლიდენ, მერე ხარშავდენ და ასე ცხოვრობდენ.

ან რა უნდა ექნათ, მეტი გამოსავალი გზა აღარ იყო, არსაიდან დახმარება არ ისმოდა. იყო შემთხვევებიც როდესაც რომელიმე ოჯახი შიმშილობის გამო პირდაპირ დახოცვის კარებზე იყო მიმდგარი, მაგრამ საბედნიეროთ ზოგიერთი ოჯახებიდან დამალებული საჭმელს ასწრებდენ და ამით იხსნიდენ მათ დაღუპვისაგან.

როგორც იყო გადაიტანა ხალხმა ყველაფერი უბედურობა. მაგრამ ახლა მოთქვამს თუ რა ეშველებათ მათ მომავლისათვის. და მართლაც რომ საშიშია მომავალი მათთვის, ვინაიდან ნახევარი ყანებისა ნედლათ გათავდა. და მერე ისიც, რომ რაც ყავდათ საქონელი რომელიც ეხმარებოდა ხალხს მუშაობაზე, მაგალითად, ცხენი, ხარი, ძროხა და სხვა ყველაფერი გაყიდული იქნა ორ-სამი ფუთ სიმინდზე და ჩაუვარდა ხელში სოფლის წურბელას. რაც შეეხება ტანისამოსს, ამაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. ტანისამოსს ვინ დაეძებს, მხოლოთ შიმშილისაგან იხსნას ხალხმა თავის ცოლშვილი.

აი ეს სულ ყველაფერი ხთება იქ სადაც მენშევიკების სიტყვით სამოთხე არის დამყარებული, დიახ ბატონებო! მეც მეთანხმებით თქვენ, რომ საქართველოში სამოთხე არის მხოლოთ რა საკვირველია იმ ხალხისათვის რომლებსაც ქალაქების ქუჩებზე რამდენიმე სახლები და მაღაზიები აქვთ წამოჭიმული. სამოთხე არის იმ ხალხისათვის, რომლებიც ყოველ დღე და ღამე ნეტარებაში და განცხრომაში არიან, სამოთხე არის იმ მუქთა ხორებისათვის, რომელნიც სალონრესტორანებში და კაფე-შანტანებში ათასობით და ათიათასობით ხარჯავენ და შამპანიურებში სცურავენ. მაგრამ რაც შეეხება საქართველოს მუშა ხალხს ესე იგი იმ ხალხს რომელზედაც ასე უყვართ ლაპარაკი მენშევიკებს, როგორც ვითომდა „მოკეთეებს“ და რომლითაც უნდა იყოს მართლა სამოთხე, აი სწორეთ ამ ხალხისათვის სამოთხე კი არა, ჯოჯოხეთი არის გამეფებული. ჩვენი მენშევიკები იმას ყურადღებას არ აქცევენ თუ როგორ იტანჯება ჩვენში მუშათა კლასი, მენშევიკების საქმე არის მხოლოთ რუსეთის ლანძღვა გინება, იმ რუსეთის, რომელიც ოთხი წლის ყაჩაღური ომის მერე აგერ სამი წელიწადია ყოველივე მხრიდან რკინის ბლოკადით გარემორტყმული არის და სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლას აწარმოებს საერთაშორისო გამხეცებული ბურჟაზიის წინაალმდეგ.

ბატ. მენშევიკებო! გადააგდეთ თვალიდან სათვალეები და ისე გადახედეთ სოფლის მუშების ცხოვრებას და იქ თქვენ დაინახავთ, თუ როგორ იტანჯებიან ისინი ტიტველ-შიშველნი და მშიერნი, მაშინ ნახავთ თუ როგორი სამოთხე არის გამეფებული. მაგრამ ამას თქვენ ვერ იზამთ. ასე რომ მოიქცეთ თქვენ მაშინ ხომ მენშევიკები არ იქნებით.

**დაჩაგრული.**

# პროვინციის ცხოვრება.

**ქ. სამტრედია.**

ქ. სამტრედიაში არსებობს კონდუქტორების კოოპერატიული სასადილო. ამ კოოპერატიული სასადილოს გამგეობა არჩეულ იქნა 1920 წ. მაისის 16 გამგეობაც შეუდგა მოღვაწეობას და მუშათა ინტერესების დაცვას მათი ეკონომიურათ უზრუნველყოფას. დაიქირავეს ნოქარი, რომელიც ვალდებული გახადეს დღეში 12 საათი ემუშავნა სასადილოში და იგიც ისეთი ჯამაგირით, როგორიც არის თვეში 1600 მანეთი.

ყველასთვის ცხადია, რომ ასეთი ჯამაგირით ეხლა შორს ვერ წახვალ და თავის ეკონომიურ მოთხოვნილებას ვერ დაიკმაყოფილებ. ესეც მენშევიზმის ქვეყანაში რევოლიუციის მონაპოვრათ ითვლება. მეორე მონაპოვარი კი ეს—12 საათის სამუშაო დღეა. მიუხედავათ იმისა, რომ სადილი დღის 4 საათზე თავდება, მაგრამ შიგ მოსამსახურენი კი მაინც არ თაივისუფლდებიან.

ამ უკანასკნელ დროს ამ სასადილოს უბედურება შეემთხვა. ბოროტ მომქმედებმა გასტეხეს სასადილოს საწყობი. გაიტანეს მაგარი სასმელები. გამგეობა შეუდგა ბოროტ მომქმედების კვალის აღმოჩენას. ამ საქმეში დამხმარეთ მოიწვიეს „ნუნუა“.

ერთ მშვენიერ დღეს თვით სასდილოს მაგიდა მორთეს ღვინოთი და სხვა გემრიელ საჭმელებით. თანაც იძიებდენ საქმეს და თანაც შეექცეოდენ ნუნუას. საქმეს ამით არაფერი ეშველა.

და სამტრედიის მენშევიკები სხვა და სხვა გამგეობებში განაგრძობენ „მუშათა ინტერესებისათვის ბრძოლას“. ამ მხრივ სამტრედიელ მენშევიკებს ღმერთი არ წყალობს.

ჯერ იყო და რკინის გზის რაიონულ გამგეობას ერთი ხათაბალა აეკიდა სიმინდის საქმეზე.

ეხლა კიდევ სასადილოს საწყობის გატეხა, რაც კონდუქტორ მუშებში უკმაყოფილებას იწვევს გამგეობისადმი, მენშევიკებისადმი ყველა ამ დანაკლისს ავსებს ევროპის სტუმრები.

საქართველოს ხშირათ ეწვევიან ევროპიდან სხვა და სხვა სახის სტუმრები, რომელთან ბანკეტებში იამებენ მენშევიკები გულის წყლულს.

**გრძელმინდორელი დ-კი.**

## ეწერი (სუჯუნის საზ.)

(მენშევიკი ქურდი)

ხუთი თვის წინეთ ამხ. პორფირე ჭანტურიას ოჯახობას მოპარეს 3 ნახ. არშინი აბრეშუმის ლენტი. ამხ. ოჯახობამ ბევრს ჰკითხა ლენტი, მაგრამ ქურდი ველარ აღმოაჩინა. ეჭვი კი ჰქონდა მეზობელ—სახელ-განთქმულ ქურდ-ბაცაცაზე, მაგრამ თქმას ვერავინ ბედავდა, რადგანაც ის ვაჟბატონი მთავრობის კაცი იყო და „შაიკაც“ ბევრი ყავდა დამფარველი. დამკარგველმა, ენკენისთვის ერთ მშვენიერ დღეს ამ განთქმულ ქურდს სტუმრათ ეწვია, სადაც ნახა დაკარგული მისი ლენტი; პატიოსანი სტუმარი უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა, წაეღო თავისი ლენტი, ხიფათის ეშინოდა, არ წაეღო, რაოდენიმე ხნის შემდეგ „გულმავიწყი“ ქურდი ლენტს მიაჩეჩთა სადმე, თავის გულში ბევრი ასეთი მწარე ოცნების შემდეგ, დამკარგველმა გადასწყვიტა ლენტის ქურდულათ წაღება. ის ასეც მოიქცა, წააცოცა ლენტი, ლენტიანათ მივიდა ოცის-თავთან და განუცხადა საქმის მდგომარეობა. ოცის-თავმა სავალდებულოდ სცნო გამოეცხადებია ეს მომხდარი ფაქტი ასის-თავისთვის. ოცისთავის თანხლებით ასისთავს უამბეს საქმის ვითარება. ასისთავმა ხსენებულ ქურდს მეთო ჭ—რიას მოახსენა, რომ ლენტი პატრონს წაუღია.

მეთო უბრალო კაცი როდი იყო, ის გახლავთ მენშევიკების ერობის ხმოსანი, მაშინვე ეახლა სუჯუნის ერობის თავმჯდომარეს და მოახსენა: ქურდი დაჭერილი მყავს და გთხოვთ სათანადო ზომის მიღებასო, მაშინვე მილიციონერების საშუალებით მოყვანილი იქმნა ლენტის დამკარგველი. ბ. ერობის თავმჯდომარე კარგათ იცნობდა მეთოს პიროვნებას, რის გამო, რაოდენიმე ხნის მსჯელობის შემდეგ მივიდა ასეთ დასკვნამდე: ლენტი ორივეს დასწრებით დაეწვათ, მაგრამ ეს გადაწყვეტილება მიუღებელი დარჩა უფრო ბ. მეთოსთვის, რადგანაც პირი ეწოდა უპილპილოთ და საქმე გადაეცა აბაშის მომრიგებელ მოსამართლეს. მომრიგებელის კამერაში სუჯუნის ერობის ხმოსან მეთოს თავისი პოლიტიკა აღარ გამოუდგა, ვერც „შაიკამ“ უშველა, ლენტი მიესაჯა დამკარგველ ამხ. ჭანტურიის ოჯახობას, ქურდ მეთოს შეეძლო აპელაცია დადგენილებისა გადაეტანა 14 დღეში.

დაბრუნდა პირში ჩალა გამოვლებული მეთო სახლში, აქ მიმართა სულ სხვაგვარ ხრიკებს, მიუგზავნა ამხ. ოჯახობას გვარდიელი, რომლის პირითაც აფრთხილებდა, თუ ერთ კვირაში სადაო ლენტი მეთოს არ დაუბრუნა, საქმე მიიღებს სამწუხარო მსვლელობას ადგილობრივი ორგანიზაციის გადაწყვეტილების ძალითო, მაგრამ ჯერჯერობით ლენტი არ მიუღია.

ბ. მეთო ჭ—რია სუჯუნის ერობის საუკეთესო ხმოსნათ ითვლება მენშევიკების თვალთახედვის ისრით. ბ. მეთომ ქ. ბათუმში ნიკოლოზის ბატონობის დროს, რამდენიმე ლორი მოიპარა, მაგრამ 3 თვის მეტი არ მჯდარა ციხეში, იცის სხვადასხვა ფანდები.

მენშევიკების პარტია და ჩვენი ბედი ასეთ ქურდ ბაცაცებზეა დაყრდნობილი.

**კონა.**

## წერილი სამტრედიიდან.

არც სამტრედია დასტოვეს გულნატკენი. ჩვენც გვეწვია სოციალისტ-გამცემლები, ვითომდა მუშათა ინტერესების დამცველები. ბურჟუაზიული კამპანიის დელეგატები მობრძანდენ სამტრედიაში თავიანთი ჩვეულებრივი ბურჟუაზიული რიხით.

26 ენკენისთვეს, დილის 8 ს., განსაკუთრებული მატარებლით მობრძანდენ სამტრედიაში, სადაც დახვდა დიდი ზეიმით აქაური მენშევიკური კომპანიაც. თბილისიდან რკინის გზის ხაზზე დიდი ფაცი-ფუცში იყვენ მენშევიკები. საერთო ზეიმში მონაწილეობას იღებდენ სპეკულიანტები და ვაჭრები. მუშებს და გლეხებს, რომლებიც მუდამ გაჭირვებულია და უღელ ქვეშ არის, სად ეცალა მათ სანახავათ, ან კი რათ ესაჭიროებოდა მუშას ასეთი კომპანია. მას მხოლოდ უხდება კვირა-უქმე დღე სოფლათ რბენა, იქნება სადმე ცოტა იაფათ იშოვოს რაიმე სურსათი. „სტუმრებმა“ მოხსენება გაუკეთეს აქაურ მენშევიკურ კომპანიას რკინის გზის კლუბში. ორატორები სტუმრებით იქებდენ საქართველოს, ამბობდენ, რომ საქართველოს მუშები და გლეხები მაძღარია და ჩაცმულ დახურულია. მაგრამ მე არ ვიცი, რომელ პროლეტარების სახელით ლაპარაკობენ ეს დელეგატები. იმ კრებაზე მუშები ძლიერ ცოტა იყო. მხოლოდ უმრავლესობა იყვენ ტაშის-მკვრელი სპეკულიანტების და ვაჭრების კომპანია. გათავდა კრება მიტინგი, წამოვიდენ სადგურზე, მათი ამალებით. მუშები თითო-ოროლა ჩანდა სადგურზე. მათ თითზე ჩამოსთვლიდით. მატარებელზე გამცილებლებიც ბევრი იყვენ მოსეირნე საზოგადოება. რასაკვირველია, აქ იყო ს. ხვიჩიაც, როგორც რუსეთში მიმავალი დელეგატი. ისიც ლებულობდა დიდს მონაწილეობას ვითომდა რუსეთიდან ახლად-დაბრუნებული და ამბავის მომტანი. ერთი მხლებელი ჩამოვიდა ვაგონიდან და მივიდა ერთ თავის ნაცნობთან და უთხრა, რას ვხედავ ამას, მუშები სად არისო,—შეეკითხა მას მოწყენილად. მართლაც და მუშები სად იყვენ, არსათ. და თუ იყვენ, აქა-იქ, ისინიც მოწყენილი, უიმედოთ და უფერულათ. ყოველი მოხსენების შემდეგ ბატონი თევზაია თარგმნის სტუმრის ნალაპარაკევს. მუშებო, უნდა შექმნათ თქვენ სიმდიდრე და თქვენ მიკიდეთ საქმეს ხელიო და თქვენი იქნება ყველაფერიო. მაგრამ ასეთი სიტყვა კი ქაღალდებზე რჩება. ცოტა არ იყოს და ფრანგულად კი ახსენებდენ ხშირათ ბოლშევიზმს. შეცდა ისინი, მარა მალე მოვლენ გონსო. ასე ამბობდენ თევზაია და მათი სტუმრებიც.

თევზაია ამბობს: ჩვენში არის ორი მიმართულება: ბურჟუაზიული და დემოკრატიულიო. და ახლა თქვენ უნდა შექმნათ სიმდიდრე, რომელიც თქვენც დაგაკმაყოფილებსო. ძლიერ ეშინიათ მოსკოვის. ნეტავ რას ფიქრობს ეს ხალხის „წარმომადგენელი“, რომელიც წინათ კი მოსკოვთან იყვენ ერთად და დღეს ერთმანეთს სათოფოთ არ ეკარებიან. ნურავის უხარია მისი დამარცხება, მხოლოდ და საჭირო არის მასი მხარის დაჭერა მუშებიდან, მით უმეტეს, რკინის-გზელებიდან, რომელიც მთავარი ძარღვია რევოლიუციონურ მოძრაობისათვის. რასაკვირველია, დეპოსაც არ დაკლებია მითქმა-მოთქმა უსაქმო ხალხთა ბანაკებიდან. ჩაერიენ მუშებში. უნდა წამოხვიდეთ დელეგაციის შესახვედრათ, არ წამოხვიდე, არ შეიძლებაო. რა ქნას საწყალმა მუშამ, იძულებულია, ხმა-ამოუღებლივ გაჰყვეს ისე შორ-ახლო იმ დროშას, რომელიც მენშევიკებს უკავიათ ხელში.

**ჭ. მართაშვილი.**

# კომუნისტების დევნა გრძელდება.

4 ოქტომბერს დაბა ცაგერში ლეჩხუმის სამაზრო ბიუროში დაატუსაღეს ლეჩხუმის სამაზრო კომიტეტის თავმჯდომარე აპოლონ ყიფიანი და წევრი გედეონ ყვირილიანი, რომლებმაც მოსთხოვეს ადგილობრივ ადმინისტრაციას ბრალდების წამოყენება, მაგრამ ვერავითარი ბრალდება ვერ წამოუყენეს. ამხ. ყიფიანმა მოითხოვა ბიუროს საქმეების გადაბარება დარჩენილ ამხანაგებზე, რაზედაც უარი მიიღო. დატუსაღებული ამხანაგები 11 ოქტომბერს ცაგერიდან წამოიყვანეს და მოათავსეს ქუთაისის საგუბერნიო ციხის № 1 განყოფილებაში.

ასე უკანონოდ დევნიან და ტანჯავენ ბ. მენშევიკები კომუნისტებს. როდის იქნება, რომ ასეთ უკანონობას მოეღება ბოლო?

**ლეჩხუმელი კომუნისტი.**

# ჩვენი ფოსტა

ქუთაისი. ტყაპლაძეს. თქვენი დეპეშის საპასუხოთ, შეეკითხეთ ადგილობრივ ბიუროს.

**დრ. რედაქტორი: ა. ქურიძე.**

# განცხადებანი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 3, მეორე სართული, ტელ. 8—91.

ცენტრ. კომ. ბიურო ღიაა დილის 11—1 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ს. კ. პ. თბილისის საგუბერნიო კომიტეტის ბიურო მოთავსებულია პასკევიჩის ქუჩ. № 3, მეორე-სართული. ტელ. 8—91.

ბიურო ღიაა დილის 9—2 საათამდე.

ს. კ. პ. თბ. პირველი რაიონის ბიურო მოთავსებულია ჩერქეზოვის ქუჩ., № 135.

ბიურო ღიაა საღ. 5—7 ნახ. საათამდე.

ს. კ. პ. თბ. მეორე რაიონის ბიურო მოთავსებულია რუსთა ეროვნულ საბჭოს ბინაზე (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ).

ბიურო ღიაა დილის 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

ს. კ. პ. თბ. მესამე რაიონის ბიურო მოთავსებულია რუსთა ეროვნულ საბჭოს ბინაზე, სადაც სწარმოებს ახალი და ძველი წევრების რეგისტრაცია.

ბიურო ღიაა დილის 10—1 ნახ. საათამდე და საღამოს 5—7 ნახ. საათ.

ს. კ. პ. თბილისის მეოთხე რაიონის ბიურო მოთავსებულია რუსთა ეროვნულ საბჭოს ბინაზე (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ), სადაც სწარმოებს ახალი წევრების ჩაწერა და ძველი წევრების რეგისტრაცია.

ბიურო ღიაა დილის 10—1 საათამდე და საღამოს 4—7 საათამდე.

სტამბა „ეკონომია“ დიდი ვანქის ქ. № 3.